თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3348404

ნომერი: AR1515069

თარიღი : 16.06.2017

გაცემის თარიღი : 23.06.2017

გაცნობის თარიღი : 23.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ცაბაძის ქ. #14; ქალაქი თბილისი , გიორგი ცაბაძის ქუჩა , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი ჩოჩია პ/ნ 01010007351
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ II კვ. კორ. 1 ბ. 3

ორგანიზაცია:

- ცაბაძის 8 კოდი: 404940418

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, გიორგი ცაბაძის ქუჩა, N14-ში, შპს „ ცაბაძის 8“-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე ღიობების გაბარიტების ცვლილებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი #01.13.07.020.018, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882017370958 10/05/2017წ. ასევე არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი,) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, გიორგი ცაბაძის ქუჩა, N14-ში, შპს „ ცაბაძის 8“-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე ღიობების გაბარიტების ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.